უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები

ფინალური ანგარიში

2024

ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ცენტრმა (DRI) პროექტის „უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა “ ფარგლებში. პროექტის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ორგანიზაცია „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED). პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

სარჩევი

შესავალი 4

1. მეთოდოლოგია 5

2. უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი და პრაქტიკული გამოწვევები 5

პარლამენტის წევრის კითხვა 6

ინტერპელაცია 6

თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე დაბარება 7

თანამდებობის პირის კომიტეტის სხდომაზე დაბარება 7

დროებითი საგამოძიებო კომისიები 7

2.1 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 8

წერილობითი კითხვა 8

კონტროლის სხვა მექანიზმები: 10

2.2 შინაგან საქმეთა სამინისტრო 10

პარლამენტის წევრის კითხვა 11

მინისტრის საათი 15

ინტერპელაცია 16

კონტროლის სხვა მექანიზმები: 18

2.3 თავდაცვის სამინისტრო 18

პარლამენტის წევრის კითხვა 19

კონტროლის სხვა მექანიზმები: 21

3.ნდობის ჯგუფი 22

4. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის შეფასება 24

4.1. ოკუპირებული ტერიტორიები 25

4.2. სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა 27

4.3. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა 30

4.4. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 31

4.5. სამართლებრივი ბაზის განვითარება 32

4.6. ანგარიშვალდებულება 33

ძირითადი მიგნებები 34

შესავალი

ანგარიშში, რომელიც უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის მონიტორინგის ერთ წლიან პერიოდს აჯამებს, გაანალიზებულია და კრიტიკულად არის შეფასებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე საპარლამენტო ზედამხედველობისა და კონტროლის არსებული მექანიზმები: *თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, ნდობის ჯგუფის უფლებამოსილება, პარლამენტის წევრის წერილობითი კითხვისა და ინტერპელაციის მექანიზმი, ანგარიშვალდებული პირის პლენარულ და კომიტეტის სხდომაზე დაბარების მექანიზმი, დროებითი საგამოძიებო კომისიები, როგორც კონტროლის საშუალება.* ასევე, წარმოდგენილია დაკვირვების შედეგად შემუშავებული მიგნებები.

დემოკრატიის კვლევის ცენტრი 2024 წლის 1-ელი იანვრიდან ახორციელებს უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მონიტორინგს, რომელშიც მოიაზრება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები.

საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგმა ცხადყო, რომ უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი კიდევ უფრო შემცირებულია, **რაც, სავარაუდოდ, პოლიტიკური ნების არარსებობასთან ერთად, ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური მდგომარეობით არის განპირობებული.** 2024 წლის პირველ ნახევარშიც გამოწვევას წარმოადგენდა საპარლამენტო ოპოზიციის კონტროლის ლიმიტირებული მექანიზმები და უმრავლესობის მცდელობა, ხელი შეეშალა ოპოზიციისთვის საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელებაში - მიუხედავად ნდობის ჯგუფის სრულად დაკომპლექტების დაპირებისა, მეათე მოწვევის პარლამენტმა მუშაობა, ნდობის ჯგუფის სამი წევრით დაამთავრა. **ამასთან, 2023 წელთან შედარებით, 2024 წელს შემცირებულია საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გამოყენების სიხშირე.** ამ თვალსაზრისით დეპუტატების აქტიურობის შემცირება, შესაძლოა, ე.წ რუსული კანონის ინიციირებამ და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა განაპირობა, თუმცა, პარლამენტის წევრებმა კონტროლის მექანიზმები არც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ არ გამოიყენეს, მაშინ როდესაც, საანგარიშო პერიოდში, უწყების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებისა და ძალადობის არაერთი აშკარა შემთხვევა დაფიქსირდა. მეტიც, სამართალდამცავთა ქმედება, წამებად შეფასდა. ამასთან, განსხვავებით გასული წლისგან, პარლამენტს კომიტეტის სხდომაზე დაბარების მექანიზმი არ გამოუყენებია. უკიდურესად შემცირებულია წერილობითი კითხვების რაოდენობა.

დოკუმენტის პირველ თავში განმარტებულია მეთოდოლოგია, რითაც დოკუმენტზე მუშაობის დროს ვიხელმძღვანელეთ, მეორე თავში გაანალიზებულია უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გამოყენებისა და პრაქტიკული გამოწვევების საკითხი. ანგარიშის მესამე თავში მოცემულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ანგარიშის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვასთან დაკავშირებული გამოწვევები. დოკუმენტის მეოთხე თავი ეხება პარლამენტის ნდობის ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, ხოლო დასასრულს მოცემულია შესაბამისი მიგნებები.

1. მეთოდოლოგია

ფინალური ანგარიში მოიცავს სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების კრიტიკულ ანალიზს და ამ კუთხით არსებული ძირითადი გამოწვევების შეფასებას.

კვლევის მიზნებისთვის, უსაფრთხოების სექტორში მოიაზრება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში, ასევე სუს-ი), საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები.

ანგარიში წარმოადგენს მონიტორინგის პერიოდის შეფასებას და მოიცავს 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს. კვლევა ეფუძნება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას და დემოკრატიის კვლევის ცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მიღებულ მონაცემებს, კერძოდ, *რამდენად ხშირად იყენებდა საქართველოს პარლამენტი რეგლამენტით გათვალისწინებულ ზედამხედველობის მექანიზმებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან მიმართებით.*

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ანგარიშის შემუშავების პროცესში შემდეგი მეთოდოლოგია გამოვიყენეთ:

მონაცემების დამუშავება და ანალიზი - კვლევის საწყის ეტაპზე განვსაზღვრეთ შესასწავლი ნორმატიული აქტების ნუსხა და დავამუშავეთ საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მიღებული მონაცემები.

სამაგიდო კვლევა - შევკრიბეთ და გავაანალიზეთ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია და აღნიშნული მონაცემები კვლევის პროცესში გამოვიყენეთ. ასევე შევისწავლეთ სხვადასხვა პარტიების მიერ შემუშავებული ხედვა უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაუმჯობესების შესახებ.

ინტერვიუები - საპარლამენტო ფრაქციების/პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან ჩავატარეთ ინტერვიუები, უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის პრაქტიკული განხორციელების დროს არსებული გამოწვევების სიღრმისეული გააზრების მიზნით.

2. უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი და პრაქტიკული გამოწვევები

უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების უპირველესი ვალდებულებაა საზოგადოების დაცვა დანაშაულისგან, არეულობისა და ძალადობისგან.[1] ამ მოვალეობის შესასრულებლად, მათ ხელში კონცენტრირებულია ფართო უფლებამოსილება. შესაბამისად, *ეფექტიანი საზედამხედველო მექანიზმების საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებისა და მისი პრაქტიკაში აქტიური გამოყენების მთავარი მიზანი, უსაფრთხოების სექტორში შემავალი*

[1] securitysectorintegrity.com, იხ. https://shorturl.at/nJOQT

უწყებების მანდატის კანონმდებლობის შესაბამისად გამოყენება, საქმიანობის შეფასება, რეკომენდაციების გაცემის გზით, საქმიანობის გაუმჯობესება და მათ მიერ, უფლებამოსილების გადამეტების რისკების შემცირებაა.

პარლამენტის წევრის კითხვა

წერილობითი კითხვის მექანიზმი საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უწყების ინდივიდუალურად კონტროლის მნიშვნელოვანი საშუალებაა. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი პარლამენტის წევრს ანიჭებს უფლებამოსილებას, კითხვით მიმართოს საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებას. პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.

2022 წლიდან პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი აანალიზებს და პარლამენტის ბიუროს წარუდგენს ინფორმაციას პარლამენტის წევრის კითხვაზე რეაგირებასთან დაკავშირებით. კომიტეტისთვის აღნიშნული ვალდებულების განსაზღვრა, პროგრესული ნაბიჯია, თუმცა, რეალურად, ის გარე კონტროლის განხორციელებისა და საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების მნიშვნელოვან საშუალებას არ წარმოადგენს. **პარლამენტის წევრის კითხვაზე გაცემული პასუხის შინაარსობრივი სისრულის შემოწმება საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ვალდებულება არ არის.**

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2024 წელს გაგზავნილ კითხვებთან დაკავშირებით, ორი დოკუმენტი მოამზადა (2023 წლის დეკემბერი - 2024 წლის 31 მაისი)[2]. ანგარიშებში, დეპუტატების მიერ გაგზავნილი კითხვები სამ ჯგუფადაა დაყოფილი (საქართველოს მთავრობა/საქართველოს პრემიერ-მინისტრი/სამინისტრო/მინისტრი/სსიპ, მუნიციპალიტეტები, სხვა დაწესებულებები), თუმცა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტრო ცალკე ნახსენები არ არის.

ინტერპელაცია

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, *„პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს, ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართოს საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს.“*[3] ადრესატი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირადად პასუხობს კითხვებს.

---

[2] parliament.ge , საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ინფორმაცია პარლამენტის წევრის კითხვაზე რეაგირების შესახებ, იხ. https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/zedamxedveloba/parlamentis-wevris-kitxva/reagireba/1.23-29.24.pdf ; იხ. https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/zedamxedveloba/parlamentis-wevris-kitxva/reagireba/cevris-kitxva-1.03-31.05.24.pdf

[3] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 149, იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4401423?publication=58

2022 წელს გაიზარდა ინტერპელაციის რაოდენობა. ინტერპელაციის დასრულების შემდეგ, განისაზღვრა დადგენილების პროექტის პარლამენტისთვის წარდგენის, განხილვისა და მიღების ვალდებულება, რეგლამენტით დადგენილი წესით.

თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე დაბარება

პარლამენტი კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით პლენარულ სხდომაზე იწვევს, მათ შორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს. ანგარიშვალდებული პირები, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ პლენარულ სხდომაზე, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.[4]

თანამდებობის პირის კომიტეტის სხდომაზე დაბარება

საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები ვალდებულნი არიან, კომიტეტის სხდომას დაესწრონ **კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე.**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელთან მიმართებით, რეგლამენტი განსხვავებულ წესს ადგენს. კერძოდ, სამსახურის უფროსი ვალდებულია კომიტეტის სხდომას დაესწროს **კომიტეტის წევრების სიითი შემადგენლობის უმრავლესობის წერილობითი მოთხოვნით,** რომელიც უნდა შეიცავდეს კომიტეტის სხდომაზე მოსაწვევ პირთან ერთად განსახილველი საკითხის/საკითხების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას.

დემოკრატიის კვლევის ცენტრის ინიციატივა, განსხვავებული წესით სამსახურის უფროსის დაბარების გაუქმების შესახებ, საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ მთავარ მიზეზად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი დაასახელა და ამით ახსნა შედარებით მაღალი კვორუმის არსებობა, რაც ოპოზიციონერ დეპუტატებს ართმევს შესაძლებლობას, მოითხოვონ ანგარიშვალდებული პირის კომიტეტის სხდომაზე დაბარება.

დროებითი საგამოძიებო კომისიები

რეგლამენტის მიხედვით, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ პარლამენტის დადგენილების პროექტის ინიციირების უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს, კომიტეტს, ფრაქციას, პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს. პარლამენტის დადგენილების პროექტი უნდა შეიცავდეს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საჭიროების სათანადო დასაბუთებას. პარლამენტის დადგენილების პროექტი გადაეცემა პარლამენტის ბიუროს პარლამენტის უახლოესი პლენარული სხდომის დღის

[4] იქვე. მუხლი 152.1

წესრიგში შესატანად. პარლამენტი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერით.[5]

დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში მის სხდომაზე გამოცხადება სავალდებულოა. დროებით საგამოძიებო კომისიას უფლება აქვს, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით ამა თუ იმ გარემოების გამო მოიწვიოს ნებისმიერი პირი და მას წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ადგილზე გაეცნოს სისხლის სამართლის საქმეს და მიიღოს შესაბამისი საქმის მასალების ასლები, აგრეთვე გაეცნოს გამოძიების არდაწყების შესახებ არსებულ მასალებს, თუ კომისიას მიაჩნია, რომ აღნიშნულ საქმეში ან მასალებში შეიძლება მოიპოვებოდეს მის მიერ განსახილველი საკითხის გამოკვლევისათვის საჭირო მონაცემები.[6] შესაბამისად, დროებითი საგამოძიებო კომისია, ოპოზიციისთვის კონტროლის განხორციელების კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს.

2.1 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან მიმართებით, **ერთადერთი კონტროლის მექანიზმი წერილობითი კითხვა იყო.**

წერილობითი კითხვა

უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებებიდან, ყველაზე ნაკლები კონტროლი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე ხორციელდება, თუმცა, წლების განმავლობაში სამსახურისთვის გაგზავნილი კითხვათა რაოდენობა, მზარდი იყო.[7]

[5] იქვე. მუხლი 62
[6] იქვე. მუხლი 67
[7] democracyresearch.org, უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი არაეფექტიანია, 29.02.2024, იხ. https://www.democracyresearch.org/geo/1404/



2024 წელს კი, დეპუტატების მხრიდან გაგზავნილი კითხვები და შესაბამისად, მის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების სურვილი, უკიდურესად შემცირებულია. **2024 წლის 1-ელი იანვრიდან 2024 წლის 1-ელი დეკემბრის ჩათვლით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მხოლოდ სამი წერილობითი კითხვაა გაგზავნილი. შედარებისთვის, 2023 წელს დეპუტატებს სამსახურისთვის 20 წერილობითი კითხვა ჰქონდათ გაგზავნილი. 2022 წელს კი სამსახურს ყველაზე მეტი - 29 წერილობითი კითხვა გაეგზავნა.**

2023 წელს გაგზავნილ კითხვებში დასმული საკითხები, დღესაც აქტუალურია (საზღვრის კვეთასთან, ოკუპირებულ ტერიტორიებთან, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული საკითხები). ამასთან რეგიონში უსაფრთხოების თვალსაზრისით კვლავ არაერთი გამოწვევა არსებობს (რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე).

2024 წლის აპრილში წარდგენილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, უკიდურესად ზოგადი და შაბლონურია - რაც ბუნებრივია, არაერთ კითხვას აჩენს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში საანგარიშო პერიოდში გაგზავნილი სამივე წერილობითი კითხვა თეონა აქუბარდიას ეკუთვნის. პარლამენტის წევრი უწყებისგან ითხოვდა 2024 წელს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზიდან (თარიღის

მითითებით) გატაცებული და გათავისუფლებული ადამიანების რაოდენობას.[8] უსაფრთხოების სამსახურმა მიაწოდა ინფორმაცია დაკავებული და გათავისუფლებული პირების რაოდენობის შესახებ, თუმცა შესაბამისი თარიღების მითითების გარეშე.[9] კიდევ ერთი კითხვა ეხება ორგანიზაცია „რუსული კლუბის“ მიერ ორგანიზებული სემინარი ჩატარებასა და რუსეთის მოქალაქე ტრენერების მიერ ოკუპაციის შესახებ კანონის დაცვის საკითხს.[10] კითხვაზე პასუხი ზოგადია - სუს-ის თქმით, აქტიურად კონტროლდება იმ პირთა შემოსვლის შეზღუდვის საკითხი, ვისაც შეიძლება დარღვეული ჰქონდეს კანონი.[11]

2024 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის, ერთი და იგივე დეპუტატის მიერ გაგზავნილი სამი წერილობითი კითხვა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სუს-ი წლების განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო დახურულ და დემოკრატიული ზედამხედველობის მიღმა მდგომ უწყებად ჩამოყალიბდა. ნების არარსებობის და საპარლამენტო მუშაობის ფაქტობრივი პარალიზების ფონზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დემოკრატიული კონტროლი, ფაქტობრივად, არ ხორციელდება.

კონტროლის სხვა მექანიზმები:

2024 წელს, სუს-ზე საპარლამენტო კონტროლის თვალსაზრისით არსებული მანკიერი პრაქტიკა კვლავ გაგრძელდა. კერძოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით არც ერთხელ არ დაუბარებიათ პარლამენტის პლენარულ ან/და კომიტეტის სხდომაზე და არც ერთხელ არ მიუმართავთ ინტერპელაციის წესით.

2.2 შინაგან საქმეთა სამინისტრო

2024 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში საქართველოს პარლამენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ზედამხედველობისთვის გამოიყენა მის ხელთ არსებული შემდეგი მექანიზმები: *პარლამენტის წევრის კითხვა, ინტერპელაცია და მინისტრის საათი.* მოცემულ ქვეთავში გაანალიზებულია თითოეული ამ მექანიზმის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ გამოყენების ეფექტიანობა და წარმოჩენილია ის საკითხები, რომლებზედაც საპარლამენტო ზედამხედველობის პროცესში გამახვილდა ყურადღება.

[8] პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვა, N 3861/3-2/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33597

[9] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პასუხი, SSG 9 24 00123325, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33624

[10] პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვა, N 4878/3-2/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33702

[11] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პასუხი, SSG 2 24 00166709, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33744

პარლამენტის წევრის კითხვა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 33 წერილობითი კითხვა გაეგზავნა. აქედან 1 კითხვაზე უწყებას პასუხი გაცემული არ აქვს.[12] კერძოდ, დეპუტატ ქეთევან თურაზაშვილის წერილობითი კითხვა, რომელიც უწყებამ უპასუხოდ დატოვა, შემდეგი შინაარსის იყო: იცავდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრით, პარლამენტის წევრს ალექსანდრე ელისაშვილს იმუნიტეტი და როგორ შეაფასებდა პარლამენტის წევრ ელისაშვილის მიმართ სამართალდამცველების მიერ განხორციელებულ ჯგუფურ ძალადობას.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გაგზავნილი კითხვების რაოდენობა შემცირებულია გასულ წელს, 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდთან შედარებით. კერძოდ, გასულ წელს, 100 წერილობითი კითხვა გაიგზავნა,[13] რაც, საერთო ჯამში, 67-ით აღემატება საანგარიშო პერიოდში გაგზავნილი კითხვების რაოდენობას.



შინაგან საქმეთა სამინისტროს კითხვით საპარლამენტო უმრავლესობის მხოლოდ ერთმა წევრმა მიმართა. ნინო წილოსანმა უწყებისგან ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკა გამოითხოვა.[14]

ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ გაგზავნილი კითხვები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. კითხვების თემატიკა შემდეგი იყო: სახელმწიფო საზღვრის კვეთისას მუსლიმების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტების,[15] „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“

---

[12] საქართველოს პარლამენტის წევრის ქეთევან თურაზაშვილის კითხვა N3300/3-38/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33532

[13] parliament.ge, იხ. https://www.parliament.ge/supervision/deputy-question

[14] საქართველოს პარლამენტის წევრის ნინო წილოსანის კითხვა N 1693/1-6/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32806

[15] საქართველოს პარლამენტის წევრის ტარიელ ნაკაიძის კითხვა N1017/3-79/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32466

საქართველოს კანონით განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტების მიღების აუცილებლობის,[16] სტატისტიკური ინფორმაცია, საქართველოს მოქალაქეების მიგრაციის შესახებ,[17] 2019-2022 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული და საქართველოს ტერიტორიიდან გასული საქართველოს, რუსეთის, ბელარუსის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, ყაზახეთისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეების რაოდენობის შესახებ, ჩაშლილს კვარტლების მიხედვით,[18] მინისტრის მოადგილის შრომის ანაზღაურების, პრემია/დანამატის, თანაშემწეების ანაზღაურების, თანაშემწეების პრემია/დანამატის, მძღოლის ანაზღაურების, მძღოლის პრემია/დანამატის, ტელეფონის ხარჯის, საწვავის ხარჯის, მანქანის მომსახურების ხარჯის, ოფისის ხარჯების, სამივლინებო ხარჯის შესახებ,[19] სტატისტიკურ ინფორმაცია, ე.წ. უკონტაქტო პატრულირების შედეგად გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ,[20] ინფორმაცია მინისტრის მრჩევლების რაოდენობის, მათი ანაზღაურების, ფუნქციების და ხელშეკრულების ვადების შესახებ.[21]

შსს-ს გაცემული პასუხები შაბლონური და უკიდურესად ზოგადი იყო. მაგალითად, როდესაც კონკრეტული დეპუტატები ითხოვდნენ სხვადასხვა ტიპის სტატისტიკურ ინფორმაციას, უწყება, როგორც წესი, სამინისტროს პორტალზე ამისამართებდა, სადაც ასახული იყო ერთიანი სტატისტიკური ინფორმაციები, მოთხოვნილი კითხვების შეუსაბამოდ.[22] ანალოგიურად, მიუხედავად ცალ-ცალკე მოთხოვნისა, სამინისტრომ დეპუტატ რომან გოცირიძეს მიაწოდა ინფორმაცია მინისტრის მოადგილეების შრომის ანაზღაურების (ხელზე ასაღები თანხა) შესახებ, სამივლინებო ხარჯების მონაცემები, თანაშემწეთა და მძღოლების ჯამური ანაზღაურება. ხოლო საწვავის, ასევე სხვადასხვა კომუნალური ხარჯების დაანგარიშება სამინისტროსგან მიღებული პასუხის თანახმად, ხორციელდება ჯამურად, შესაბამისად ის ცალკეული მონაცემები რაც დეპუტატს აინტერესებდა, არ იქნა მიწოდებული.[23]

შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი კითხვების მნიშვნელოვანი ნაწილი ტრადიციულად სხვადასხვა სტატისტიკურ ინფორმაციის გამოთხოვას ეხებოდა. ეს გარკვეულწილად ლოგიკურიცაა, ვინაიდან სწორედ ეს სამინისტრო აწარმოებს არა ერთ

---

[16] საქართველოს პარლამენტის წევრის ხატია დეკანოიძის კითხვა N68/3-23/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32030, კითხვა N730/3-23/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32330

[17] საქართველოს პარლამენტის წევრის პაატა მანჯგალაძის კითხვა N100/3-62/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32052

[18] საქართველოს პარლამენტის წევრის ალექსანდრე რაქვიაშვილის კითხვა N 215/3-77/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32151

[19] საქართველოს პარლამენტის წევრის რომან გოცირიძის კითხვა N:974/3-17/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32435

[20] საქართველოს პარლამენტის წევრის ლევან ბეჟაშვილის კითხვა N 2124/3-6/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33041

[21] საქართველოს პარლამენტის წევრის ხატია დეკანოიძის კითხვა N2191/3-23/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33061

[22] მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი NMIA62400203730, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32245

[23] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N:MIA12400582122, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32626

სტატისტიკურ ინფორმაციას, მათ შორის სისხლის სამართლის დანაშაულების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ. თუმცა, საპარლამენტო ზედამხედველობას შინაარსობრივ ეფექტურობას გააუმჯობესებდა, თუკი პარლამენტის წევრების კითხვები უფრო ფართოდ გავრცელდებოდა უწყების საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებზე, საქმიანობის შედეგებსა და შესაძლო პრობლემების მიზეზების განსაზღვრაზე. ამასთან, მიღებული პასუხების ანალიზი ცხადყოფს, რომ უწყებას ანგარიშვალდებულების უკიდურესად დაბალი განცდა აქვს.

***

საანგარიშო პერიოდში „რუსული კანონის" წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებზე (აპრილსა და მაისში), სამართალდამცავებმა არაერთხელ გამოიყენეს იძულებითი ღონისძიებები - სპეციალური საშუალებები და ფიზიკური ძალა.[24] თუმცა, დეპუტატებმა ერთადერთი კონტროლის მექანიზმი, რაც ამ მიმართულებით გამოიყენეს პარლამენტის წევრის კითხვაა. მიუხედავად უწყების მხრიდან სავარაუდო დანაშაულის სიმძიმისა, პარლამენტის ერთადერთი გამოყენებული კონტროლის მექანიზმი წერილობითი კითხვა იყო.

თამარ კორძაიამ გამოითხოვა ასევე ინფორმაცია[25] **ე.წ. რუსული კანონის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების პერიოდში სპეციალური დანიშნულების რაზმების თანამშრომელთა რაოდენობის, მათ ანაზღაურებას და ფინანსურ დანამატების შესახებ.** სამინისტრომ არ მიაწოდა დეპუტატს აღნიშნული ინფორმაცია იმ მოტივით, რომ ეს ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება.[26] პასუხის მიხედვით, *„სპეციალური ღონისძიების განხორციელების ადგილზე მყოფი ხელმძღვანელი პირების მონაცემები; სპეციალური ღონისძიების პროცესში მონაწილე სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების რაოდენობა, მათი ფუნქციები და მოქმედებათა თანამიმდევრობა; სპეციალური ღონისძიების ჩატარებისთვის სამინისტროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი/პირები; პირადი შემადგენლობის რაოდენობა; დანაყოფების აღჭურვილობა და სხვა.",* რომელთაგან მხოლოდ 1 საკითხი - სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრთა რაოდენობა იყო პარლამენტის წევრის ინტერესის საგანი. *სხვა დანარჩენი საკითხები, დღიური ანაზღაურება, დანამატები, თავად სამინისტროს განმარტებითვე, ვერ ექცევა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციის ფარგლებში.* შესაბამისად, სამინისტროს, კანონმდებლობის თავისივე განმარტებითაც კი, შეეძლო გაეცა ინფორმაცია სულ მცირე, შრომის ანაზღაურების და სახელფასო დანამატების შესახებ.

---

[24] democracyresearch.org, საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ, 2024, იხ. https://shorturl.at/lLZIj

[25] პარლამენტის წევრის თამარ კორძაიას კითხვა N3692/3-53/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33590

[26] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი NMIA02401582526, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33606

ე.წ რუსულ კანონის წინააღმდეგ გამართულ აქციებს უკავშირდებოდა ქეთევან თურაზაშვილის კითხვაც.[27] დეპუტატი დაინტერესდა ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების მხრიდან მოქალაქეებზე შესაძლო ძალადობის შემთხვევების შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროში დარეგისტრირებული საჩივრების რაოდენობით. სამინისტროს პასუხის[28] თანახმად, სამინისტროს წარმომადგენლების მიერ მოქალაქეებზე განხორციელებული შესაძლო ძალადობის ფაქტებზე მიღებული განცხადებები/საჩივრები გადაგზავნილ იქნა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, კომპეტენციის შესაბამისად. თუმცა საჩივრების რაოდენობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილში მითითებული არ არის.

პარლამენტის წევრის სალომე სამადაშვილის კითხვა[29] შეეხებოდა ე.წ. რუსული კანონის მხარდამჭერი საინფორმაციო პოსტერებისა და პლაკატების აკრძალულ ადგილებზე (შენობის ფასადები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ა.შ.) გაკვრისთვის მიღებულ ზომებს, ამ ფაქტებზე გამოვლენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების რაოდენობის და გამოწერილი ჯარიმების შესახებ ინფორმაციას. სამინისტრომ დეპუტატს არ მიაწოდა[30] აღნიშნული ინფორმაცია, რადგან მათი განმარტებით, *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით მონაცემების დამუშავება წარმოებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლების და არა სამართალდარღვევის გარემოებათა მიხედვით. ამასთანავე ეს მონაცემები მუშავდება თვეების და არა დღეების მიხედვით. სამინისტრომ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209 -ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის 150-150 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების განხილვა და შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ორგანოების კომპეტენციას.*

***

2024 ნოემბერსა და დეკემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა კვლავ გამოიყენეს არაკანონიერი ძალა მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა მიმართ. ბოლო ათეული წლის განმავლობაში პირველად, 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში, მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა დაშლისა და დაკავების პროცესში გამოყენებული რეპრესიული ღონისძიებები წამებად დაკვალიფიცირდა. დემონსტრაციების დარბევისას გამოყენებულმა სისტემურმა ძალადობამ, მისმა ორგანიზებულმა ხასიათმა, დაკავებულთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის მიყენებული დაზიანებების სიმძიმემ და ლოკაციამ გააჩინა სარწმუნო

[27] პარლამენტის წევრის ქეთევან თურაზაშვილის კითხვა N4648/3-38/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33678

[28] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი NMIA42402154326, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33709

[29] საქართველოს პარლამენტის წევრის სალომე სამადაშვილის კითხვა N2955/3-86/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33352

[30] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი NMIA52401181995, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33503

ეჭვი, რომ პოლიცია ძალადობრივ მეთოდებს აქციების მონაწილეთა დასასჯელად და დასაშინებლად იყენებდა.

დროის აღნიშნულ პერიოდში საპროტესტო აქციების გამომწვევი ირაკლი კობახიძის განცხადება (რომლის მიხედვითაც, ,,ქართული ოცნების" გადაწყვეტილებით შეჩერდა ევროკავშირთან მოლაპარაკების პროცესი) და 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ის მწვავე დარღვევები გახდა, რის გამოც როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე ლეგიტიმაცია ,,ქართულმა ოცნებამ" ვერ მოიპოვა. **შესაბამისად, არჩევნების შედეგების არ აღიარების გამო, ოპოზიციურმა პარტიებმა უარი თქვეს საქართველოს XI მოწვევის პარლამენტში შესვლაზე, რის გამოც, მიუხედავად ანგარიშვალდებული უწყებების არაერთი აშკარა გადაცდომისა, მათ საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი საერთოდ არ განხორციელებულა.**

მინისტრის საათი

მინისტრის საათის ფარგლებში, მთავრობის წევრები წელიწადში ერთხელ პარლამენტს წარუდგენენ მოხსენებას სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი პარლამენტის წინაშე მოხსენებით წარსდგა 2024 წლის 20 მარტს და სამინისტროს 2023 წლის საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა. მინისტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავდა 2023 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, სტატისტიკურ ინფორმაციას სხვადასხვა დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, შიდა უწყებრივი რეფორმების მიმდინარეობის შესახებ ცნობებს, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის დინამიკას და შედეგებს, სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფების ტექნიკური გაძლიერების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს, სამინისტროს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების და სხვა სოციალური გარანტიების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას. მინისტრის მოხსენებას მოჰყვა საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ კითხვების დასმის ეტაპი, რომელიც დაახლოებით 40 წუთი გაგრძელდა.

პარლამენტის წევრების კითხვები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამინისტროს ანგარიშში ასახული თემებით, არამედ უფრო ფართოდ მოიცავდა სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. შინაგან საქმეთა მინისტრი დეპუტატების კითხვებს თითქმის 1 საათის განმავლობაში პასუხობდა. მინისტრის მოხსენების ფარგლებში გამართული კითხვა-პასუხის დროს, ერთგვარ ტრადიციას იქცა, რომ კითხვის დასმის ნაცვლად, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები მადლიერებას გამოხატავდნენ უწყების საქმიანობის მიმართ და ცდილობდნენ აქცენტი სამინისტროს მუშაობის წარმატებულ ნაწილზე გააკეთონ. ოპოზიციის წარმომადგენლებმა კი, ხშირ შემთხვევაში, მინისტრის საათის ფორმატი იმისთვის გამოიყენეს, რომ მიეღოთ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემის შესახებ ის ინფორმაცია, რაც სხვა მექანიზმების გამოყენების დროს ვერ მიიღეს.

შესაძლოა შინაარსობრივი თვალსაზრისით მინისტრის მიერ გაცემული ზოგიერთი პასუხი ბუნდოვანი იყო, თუმცა, მინისტრის საათი საპარლამენტო ზედამხედველობის ეფექტიანი ინსტრუმენტია, რაც პარლამენტის წევრებს აძლევს შესაძლებლობას, გააჟღერონ უწყების საქმიანობასთან დაკავშირებული კითხვები და შენიშვნები. მიუხედავად ამისა,

მიზანშეწონილია, კითხვა-პასუხის დროს, მინისტრს არ ჰქონდეს ყველა დასმულ შეკითხვაზე პასუხის ერთობლივად გაცემის უფლება და ცალკეული პარლამენტის წევრის კითხვას მაშინვე გასცეს პასუხი, თუ კითხვა არ არის იმგვარი შინაარსის, რომლის საპასუხოდაც მინისტრს გარკვეული ინფორმაციის დაზუსტება, გადამოწმება და თანამშრომლებთან კონსულტაცია დასჭირდება.

ინტერპელაცია

2024 წელს შინაგან საქმეთა მინისტრი ინტერპელაციის წესით პარლამენტში ერთხელ დაიბარეს.[31] ინტერპელაციის ინიციატორები იყვნენ ქალი ოპოზიციონერი დეპუტატები: თეონა აქუბარდია, ანა ბუჩუკური, ქეთევან თურაზაშვილი, ნატო ჩხეიძე, ხატია დეკანოიძე, ანა წითლიძე და ანა ნაცვლიშვილი. ინტერპელაციის წესით 8 შეკითხვა იქნა გაგზავნილი მინისტრთან. ეს კითხვები შეგვიძლია 2 თემად დავყოთ: *ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა. ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით პარლამენტის წევრები დაინტერესდნენ, უკანასკნელი წლების განმავლობაში რა ღონისძიებები, ცნობიერების ამაღლების კამპანიები ჩატარდა ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, რატომ ვერ უმკლავდება შინაგან საქმეთა სამინისტრო ნარკოტიკების გასაღებისა და გავრცელების მზარდ ტენდენციას, აქვს თუ არა შემუშავებული სამოქმედო გეგმა ნარკოტიკული საშუალებების გასაღება/გავრცელების პრევენციის მიმართულებით?*

სამინისტროს პოზიციით,[32] საზოგადოებაში მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლას და მის მავნე ზემოქმედებას არაერთი სატელევიზიო და რადიო ეთერი დაეთმო, ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადდა მხატვრული და გრაფიკული ვიდეორგოლები, საინფორმაციო ბანერები, რომელმაც მოიცვა, როგორც სატელევიზიო სივრცეს, ასევე, სოციალურ ქსელს. მინისტრის ინფორმაციით, გაიმართა საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრები. საქართველოს მასშტაბით 100-მდე სკოლაში, 5000-მდე მოსწავლესთან განიხილეს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების საფრთხეებსა და მძიმე შედეგებს.

მინისტრს ჰქონდა მცდელობა პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გადაეტანა. მისი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნა იყო ნარკოტიკული დანაშაულების მიმართ სახელმწიფოს მიერ ლიბერალური პოლიტიკის გატარება. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა არასამთავრობოების მხრიდან წარდგენილი არაერთი საკონსტიტუციო სარჩელი, რის შედეგად, საკანონმდებლო დონეზე ლიბერალური მიდგომები დამკვიდრდა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მიმართ. თუმცა რეალურად ადამიანის უფლება დამცველი ორგანიზაციების მიზანი სწორედ ის იყო,

[31] საქართველოს პარლამენტის წევრების ინტერპელაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს N1726/3-2/24, იხ. https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/19.04.2024/ask-11.03.2024.pdf

[32] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წერილობითი პასუხი, საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვებზე, იხ. https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/19.04.2024/answer-18.04.2024.pdf

რომ საქართველოში ნარკომომხმარებლების მიმართ არსებული რეპრესიული ნარკოპოლიტიკა, საპატიმრო სასჯელების ხშირი გამოყენება შეცვლილიყო სხვა სახის, უფრო ჰუმანური და ნარკოდამოკიდებულების შემცირების თვალსაზრისით ეფექტური სანქციებით. ამასთან, სახელმწიფოს უნდა გადაედგა ეფექტიანი ნაბიჯები, როგორც ნარკომომხმარებლების ჯანმრთელობის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისკენ, ასევე საკუთარი რესურსები მეტწილად მიემართა ნარკოდანაშაულის პრევენციისკენ და არა ნარკომომხმარებლების საპატიმრო სასჯელით იზოლაციისკენ.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური ძალადობასთან დაკავშირებით პარლამენტის წევრები დაინტერესდნენ: *რა ღონისძიებებს ატარებს სამინსიტრო ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ დაგვიანებულ რეაგირებაზე, რასაც შედეგად განმეორებითი ძალადობა მოჰყვა, რა ღონისძიებებს ატარებს შინაგან საქმეთა სამინისტრო საკუთარ თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე, არის თუ არა თანამშრომლობა სხვა სამინისტროებთან და შესაბამის ინსტიტუციებთან ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით, როგორ მიმდინარეობს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობაზე მოწმისა და დაზარალებულთა კოორდინატორების საქმიანობა, როგორია ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე გაწეული სამუშაოს შედეგები?* სამინისტროს პასუხის თანახმად, ამ კატეგორიის დანაშაულების წინააღმდეგ უმკაცრეს სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ატარებენ, რაც დასტურდება სტატისტიკური მაჩვენებლებითაც. ოჯახში ძალადობის მაჩვენებელი სტაბილურად ინარჩუნებს მეორე ადგილს, ხოლო ამ დანაშაულების გახსნის პროცენტული მაჩვენებელი ბოლო 2 წლის განმავლობაში 80%-ს აჭარბებს. სამინისტროს პოზიციით, ეს სტატისტიკა ადასტურებს, რომ პოლიციის მიმართ ნდობის ფაქტორიდან გამომდინარე, გაზრდილია მომართვიანობა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე.

მინისტრის განცხადებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია სწავლობს ოჯახში ან/და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე პოლიციის მხრიდან შესაძლო გადაცდომის ფაქტებს და ასეთის არსებობის შემთხვევაში ახდენს შესაბამის რეაგირებას.

რაც შეეხება სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობას, არასრულწლოვანის ქორწინების იძულების, ქორწინების ან ოჯახში ძალადობისას, კომუნიკაცია მყარდება ისეთ უწყებებს შორის, როგორიცაა: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მუშაკები. სერვისების მიწოდების ან/და თავშესაფრით უზრუნველყოფის საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კოორდინირებულად მუშაობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად. 2017 წლიდან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მოქმედებს გენდერული თანასწორობის, ქალთა

მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია. მინისტრმა აღნიშნა, რომ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, მსხვერპლის მხარდაჭერის მიზნით, პრიორიტეტულად მუშაობს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე. 2021 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლის საქმეში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვის უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელს. სამინისტროს ცნობით, 2023 წელს კოორდინატორებმა მხარდაჭერა გაუწიეს 2 307 პირს, რა დროსაც, განახორციელეს მოწმის, მსხვერპლისა და დაზარალებული პირების ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა და თითოეულ მათგანს მიაწოდეს ინფორმაცია სახელმწიფოში არსებული იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სხვა არსებული სერვისების შესახებ. მისი თქმით, იგეგმება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის რეფორმა, რის ფარგლებშიც, სამსახური შეუერთდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს, რათა მოხდეს საერთო მიდგომებისა და სტანდარტების ჩამოყალიბება, ფუნქციების ხარისხიანად და შედეგებზე ორიენტირებულად აღსრულების მიზნით.

მინისტრის განცხადებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის 5 000-მდე საქმის მონიტორინგი განახორციელა, ხოლო სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის 500-მდე სისხლის სამართლის საქმეზე.

ინტერპელაციის შეკითხვებს შინაგან საქმეთა მინისტრმა ძირითადად სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაციით და უწყებაში ჩასატარებელი რეფორმების მიმოხილვით უპასუხა. ერთი მხრივ, ამგვარი პასუხები შეესაბამებოდა დეპუტატების შეკითხვებს, მაგრამ სამინისტროს პასუხებში ნაკლებად ჩანდა უწყების და ზოგადად ხელისუფლების პოლიტიკური ხედვა, ინტერპელაციით გათვალისწინებულ ორივე საკითხზე.

კონტროლის სხვა მექანიზმები:

2024 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროზე საპარლამენტო კონტროლის თვალსაზრისით არსებული სუსტი პრაქტიკა კვლავ გაგრძელდა. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით არც ერთხელ არ დაუბარებიათ პარლამენტის პლენარულ ან/და კომიტეტის სხდომაზე. **ამასთან, მიუხედავად უწყების მხრიდან არაერთი შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენისა და გამოუძიებელი საქმისა, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივა არ ყოფილა. ამასთან, შსს-ს მინისტრი საპროტესტო აქციების საკითხზე არ დაუბარებიათ ინტერპელაციის წესით.**

2.3 თავდაცვის სამინისტრო

2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში საქართველოს პარლამენტმა თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის ზედამხედველობისთვის გამოიყენა მხოლოდ პარლამენტის

წევრის კითხვის მექანიზმი. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოსმენა მინისტრის საათის ფორმატში დაგეგმილი იყო 2024 წლის სექტემბერში, თუმცა, პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, თავდაცვის მინისტრი მინისტრის საათის ფორმატში პარლამენტში არ გამოცხადებულა.[33]

პარლამენტის წევრის კითხვა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ 18 კითხვა გაიგზავნა, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. კითხვები სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული არა ერთ საკითხს მოიცავს. 3 კითხვა სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა. 2023 წელს 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სამინისტროში 40 წერილობითი კითხვა იყო გაგზავნილი.



პარლამენტის წევრის რომან გოცირიძის კითხვა შეეხებოდა: მინისტრის მოადგილეზე (მინისტრის თითოეული მოადგილის მიხედვით ცალ-ცალკე) გაწეულ წლიურ დანახარჯს, რომელიც მოიცავს: შრომის ანაზღაურებას, პრემია/დანამატს, თანაშემწეების ანაზღაურებას, თანაშემწეების პრემია/დანამატს, მძღოლის ანაზღაურებას, მძღოლის პრემია/დანამატს, ტელეფონის ხარჯს, საწვავის ხარჯს, მანქანის მომსახურების ხარჯს, ოფისის ხარჯებს, სამივლინებო ხარჯს.[34] თავდაცვის სამინისტრომ დეპუტატს ნაწილობრივ უპასუხა.[35]

გაგზავნილი კითხვებიდან ნახევარზე მეტი თეონა აქუბარდიას ეკუთვნის. დეპუტატმა სამინისტროსგან გამოითხოვა შემდეგი ინფორმაციები: ვაზიანის აეროპორტის აშენების საკითხის თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილების მიმღებ საბჭოზე ხელახალ განხილვას

[33] parliament.ge , იხ. https://www.parliament.ge/supervision/minister-hours
[34] საქართველოს პარლამენტის წევრის რომან გოცირიძის კითხვა N:967/3-17/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32442
[35] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი N:MOD72400249868, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32637

და თავდაცვის სამინისტროს პოზიციას ამ თემაზე,[36] სამინისტროს პასუხის[37] თანახმად, ამ საკითხის კიდევ ერთხელ განხილვა საბჭოს ფორმატში არ მომხდარა, სამინისტრო თავიდანვე ინფორმირებული და ჩართული იყო ვაზიანის სამოქალაქო აეროპორტის მშენებლობის საკითხზე მსჯელობაში და სამინისტროს უცვლელი პოზიციაა, რომ ამ აეროპორტის მშენებლობა საფრთხეს არ უქმნის ვაზიანის სასწავლო პოლიგონის ფუნქციონირებას. ამასთან, დეპუტატის ორი კითხვა[38] ეხებოდა თავდაცვის სამინისტროში დავით ხიდაშელის მრჩევლად მუშაობის საკითხებს. კერძოდ, დეპუტატი ითხოვდა ინფორმაციას *რა ფორმით თანამშრომლობდა სამინისტრო ხიდაშელთან, ითხოვდა ხიდაშელთან გაფორმებული ხელშეკრულების გაგზავნას, ამ ხელშეკრულებით დამდგარი შედეგის შესახებ ინფორმაციას, ინფორმაციას მისი შრომითი ანაზღაურების შესახებ, მასთან ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობის დასაბუთებას და საზღვრის დელიმიტაცია/დემარკაციის მიზნით სახელმწიფო კომისიაში უწყების პოზიციის ჩამოყალიბების მიზნით შესაბამის სპეციალისტებთან თანამშრომლობის შიდაუწყებრივი პრაქტიკის შესახებ ინფორმაციას, ინფორმაციას იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ხიდაშელს რუსეთის და საქართველოს ორმაგი მოქალაქეობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმების მომენტში, ჰქონდა თუ არა მას დაშვება სამსახურებრივი-პასუხისმგებლობისთვის განკუთვნილ ინფორმაციაზე, სარგებლობდა თუ არა სამსახურებრივი პასპორტით და შედიოდა თუ არა მის კომპეტენციაში სამინისტროს პოზიციაზე მუშაობა ქვეყნის გარეთ.* სამინისტროს პასუხების თანახმად,[39] დავით ხიდაშელის ძირითად კომპეტენციას, მასთან გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების თანახმად, წარმოადგენდა თავდაცვის მინისტრისთვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციასთან დაკავშირებით რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება. ამასთან უწყებამ დეპუტატს ადმინისტრაციული ხელშეკრულება, პერსონალურ მონაცემების საიდუმლოებაზე მითითებით არ მიაწოდა. სხვა საკითხებთან დაკავშირებით სამინისტრომ განმარტა, რომ თავდაცვის სამინისტროში მუშაობის პერიოდში დავით ხიდაშელს სამსახურებრივი პასპორტი არ ჰქონია, მას ასევე არ ჰქონია დაშვება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი არც ერთი ტიპის ინფორმაციასთან და ხელშეკრულების გაფორმებისას მან წარმოადგინა საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე ხიდაშელმა საკუთარი გადაწყვეტილებით უარი თქვა შრომის ანაზღაურებაზე და ეს თანხები ირიცხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში. თეონა აქუბარდიამ ასევე გამოითხოვა[40] მოითხოვდა ინფორმაციის სახით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგიის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ანტიდასავლურ დეზინფორმაციასთან ბრძოლის ბოლო სამი

---

[36] საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვა N:2422/3-2/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33208

[37] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი N:MOD82400475642, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33430

[38] საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვა N:2373/3-2/24 და კითხვა N1876/3-2/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33186 ;https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32909

[39] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი N MOD 9 24 00447914, NMOD 9 24 00395273 იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33350 https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33175

[40] საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვა N 2209/3-2/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33066

თვის ანგარიში, განსაკუთრებით ნატო-ის და ევროკავშირის ჭრილში. პასუხად[41]სამინისტრომ პარლამენტის წევრს გაუგზავნა 2021-2024 წლების საკომუნიკაციო სტრატეგიის პრიორიტეტებით განსაზღვრული 2023 წლის ძირითადი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. უპასუხოდ დარჩა თეონა აქუბარდიას მიერ გაგზავნილი 4 კითხვა, რომელიც ეხებოდა: *თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის სამოქმედო გეგმა 2024-2025-ის გამოთხოვას,[42] ვაზიანის სამხედრო ბაზის მშენებლობის ხარჯების, ვაზიანში 2015-2024 წლებში ჩატარებული სწავლებების, ვაზიანში ახალი აეროპორტის აშენების თაობაზე სამინისტროსა და ნატოს შორის არსებული კომუნიკაციის, ეკონომიკის სამინისტროსთვის ახალი აეროპორტის ასაშენებლად გადასაცემი ტერიტორიას,[43] ახალი თავდაცვის კოდექსით გათვალისწინებული ტრანსპორტისა და კომუნალური ხარჯების სამხედროებისთვის არ ანაზღაურების მიზეზებს, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში საკუთარი უფლებების შესახებ ჯარისკაცების არ ინფორმირების მიზეზებს[44] და შეწყდა თუ არა ევროპის მხარდაჭერის ფონდის დახმარება საქართველოსთვის.[45]*

სხვა დეპუტატების მიერ გამოთხოვილი კითხვები შემდეგი თემატიკის იყო: სტატისტიკური ინფორმაცია, საერთაშორისო მისიებში მებრძოლი ქართველი სამხედროების რაოდენობის შესახებ, ასევე ამავე მისიებში დაჭრილი ქართველი მებრძოლების შესახებ სტატისტიკა, მინისტრის მრჩევლების რაოდენობის, მათი ანაზღაურების, ფუნქციების და ხელშეკრულების ვადების შესახებ,

რეგიონში მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომის და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის განთავსებისთვის მზადების ფონზე,[46] საპარლამენტო სესიის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროსთვის მხოლოდ 18 კითხვის გაგზავნა, კიდევ ერთი მაჩვენებელია, რომ უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობა პასიურია და ზედამხედველობის ეფექტურობისთვის აუცილებელია პარლამენტის წევრების მხრიდან კიდევ უფრო მეტი აქტიურობა, როგორც კითხვის გაგზავნის, ასევე სხვა მექანიზმების გამოყენებით.

კონტროლის სხვა მექანიზმები:

2024 წელს, თავდაცვის სამინისტროზე საპარლამენტო კონტროლის თვალსაზრისით არსებული მანკიერი პრაქტიკა კვლავ გაგრძელდა. კერძოდ, თავდაცვის მინისტრი 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით არც ერთხელ არ დაუბარებიათ პარლამენტის

---

[41] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი N MOD 4 24 00426219, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33307

[42] საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვა N 4055/3-2/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33619

[43] საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვა N 4255/3-2/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33650

[44] საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვა N:4524/3-2/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33671

[45] საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვა N:4752/3-2/24, იხ. https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33698

[46] democracyresearch.org , DRI: აფხაზეთში რუსეთმა საზღვაო ბაზაზე წვრთნები გამართა - სარაკეტო/დამრტყმელი დრონებით იერიშის მოგერიების იმიტაცია, 16.01.2024, იხ. https://www.democracyresearch.org/geo/1378/

პლენარულ ან/და კომიტეტის სხდომაზე და არც ერთხელ არ მიუმართავთ ინტერპელაციის წესით.

3.ნდობის ჯგუფი

საქართველოს რეგლამენტის მიხედვით, *ნდობის ჯგუფი შედგება 5 წევრისაგან, რომელთაგან ერთი არის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ორი – საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ფრაქციის/ფრაქციების წევრი, ხოლო ორი – საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალი ფრაქციების წევრი.*[47] მეათე მოწვევის პარლამენტში, ნდობის ჯგუფის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, პრობლემები იყო. კერძოდ, ის ნაცვლად ხუთი წევრისა, ოთხი წევრისგან შედგებოდა. საპარლამენტო ოპოზიციის თქმით, პარლამენტში არსებული მხოლოდ ერთი ფრაქციის პირობებში („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) უმრავლესობა არ აძლევდა შესაძლებლობას ოპოზიციას, ფრაქციის გარეთ სხვა წევრი წარედგინა.

2023 წლის 27 ნოემბერს ევროინტეგრაციის სამთავრობო კომისიის მიერ დამტკიცდა ევროკომისიის მხრიდან განსაზღვრული 9 პრიორიტეტის შესრულების გეგმა.[48] ამ გეგმის მიხედვით, 2024 წლის თებერვალში ნდობის ჯგუფის მე-5 წევრი უკვე არჩეული უნდა ყოფილიყო. 2024 წლის 18 აპრილს, დემოკრატიის კვლევის ცენტრის წერილის[49] პასუხად, პარლამენტმა მოგვწერა, რომ *„ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ ცხრა ნაბიჯთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 16 თებერვალს საქართველოს პარლამენტში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობის, ოპოზიციისა და მესამე სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, შეთანხმდნენ, რომ საპარლამენტო პოლიტიკურ ჯგუფებს მიენიჭებოდათ უფლებამოსილება, საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის სრულად დაკომპლექტების მიზნით წარმოედგინათ ნდობის ჯგუფის წევრი საპარლამენტო ოპოზიციის კვოტით. აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად საპარლამენტო ოპოზიციამ თავად შეარჩია ნდობის ჯგუფის წევრის კანდიდატურა.“*[50] მოქმედი რეგლამენტის მიხედვით, პარლამენტში შექმნილი პოლიტიკური ჯგუფი სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებიც აქვს ფრაქციას, გარდა საქართველოს კონსტიტუციით ფრაქციისთვის განსაზღვრული უფლებებისა. პოლიტიკური ჯგუფის საქმიანობაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებითაც წესრიგდება ფრაქციის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის, რეგლამენტის 54-ე მუხლი), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ნორმები იმავდროულად კონსტიტუციური ნორმებია.[51] **შესაბამისად, საპარლამენტო პოლიტიკურ ჯგუფებს ისედაც ჰქონდათ ნდობის ჯგუფის მე-5 წევრი წარედგინა პარლამენტისთვის.**

---

[47] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 157.2

[48] gov.ge , იხ. https://www.gov.ge/files/288_86884_123528_ActionPlanforEUs9steps.pdf

[49] წერილი, N DRI/2024/21

[50] საქართველოს პარლამენტის წერილი, 3263/2-7/24, 18-04-2024

[51] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 228[1].3

ოპოზიციამ, ნდობის ჯგუფის წევრად თეონა აქუბარდია წარადგინა. თუმცა, მან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვებაზე თანხმობა 4 ოქტომბერს, კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით მიიღო. ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვების საკითხს წყვეტს 3 თვის ვადაში, უკიდურეს შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება კიდევ 3 თვით გაგრძელდეს.[52] დეპუტატისთვის საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვების უფლების მინიჭება საარჩევნო თვეს ფორმალურია - დროის არარსებობიდან გამომდინარე, დეპუტატი შეზღუდული იყო გამოეყენებინა მინიჭებული მანდატი.

2024 წლის 5 აპრილს, პრემიერ მინისტრის ბრძანებით, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის (და შესაბამისად ნდობის ჯგუფის) მაშინდელი თავმჯდომარე, დაზვერვის სამსახურის უფროსად დაინიშნა, რის გამოც X მოწვევის პარლამენტმა საქმიანობა ნდობის ჯგუფის 3 წევრით დაასრულა.

საქართველოს მთავრობამ, არათუ პირნათლად შეასრულა უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის გასაუმჯობესებლად დადებული ერთადერთი პირობა, არამედ ჯგუფი სრულიად უფუნქციოდ აქცია. ნდობის ჯგუფში გადაწყვეტილებები მიიღება ნდობის ჯგუფის წევრთა ხმების უმრავლესობით.[53] **შესაბამისად, მინიმუმ 3 წევრის თანხმობით.** ნდობის ჯგუფის წევრთა შემცირებამ, საიდანაც ორი უმრავლესობის, ხოლო ერთი ოპოზიციის წევრია, ჩიხში შეიყვანა ჯგუფის მუშაობა. თუმცა, საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობა არც თავისი წარმომადგენლის დანიშვნას ჩქარობს.

საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფმა, 2024 წლის 1-ელი იანვრიდან, 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ოთხი შეხვედრა გამართა.[54] ოთხივე შეხვედრა მარტში გაიმართა. წინა წელს, ნდობის ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა 11-ს შეადგენდა.[55]

საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია ნდობის ჯგუფის 2021-2024 წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც მწირი და შაბლონურია. ის მხოლოდ სტატისტიკურ ინფორმაციას შეიცავს. ანგარიშის მიხედვით, საქართველოს X მოწვევის პარლამენტის ნდობის ჯგუფმა გამართა 51 სხდომა. საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, ნდობის ჯგუფში შემოვიდა სულ 82 ანგარიში, მათ შორის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან - 52, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან - 3 და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან - 7 ანგარიში.[56]

---

[52] ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 22
[53] იქვე. მუხლი 158. 1
[54] საქართველოს პარლამენტის წერილი, 22.08.2024, N 5571/2-7/24.
[55] democracyresearch.org, 2024, იხ. https://shorturl.at/v7o4e , გვ.24
[56] parliament.ge, იხ. https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/zedamxedveloba/ndobis-jgufi/2021-2024-ndobis-jgufi.pdf

4. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის შეფასება

2024 წლის 15 აპრილს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს პარლამენტს 2023 წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. ანგარიშის წარდგენა და პარლამენტში მისი განხილვის პროცესი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის კონტროლის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. კანონმდებლობის მიხედვით, განხილვის შემდეგ, შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში კვლავ შაბლონური და უკიდურესად ზოგადია. სამწუხაროდ, მისი შინაარსი, ვერ გვიქმნის რეალურ წარმოდგენას სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტს კი ვერ აწვდის იმ მოცულობის ინფორმაციას, რაც მას სუს-ზე დემოკრატიული საპარლამენტო კონტროლის შესაძლებლობისთვის სჭირდება. ანგარიში წლიდან წლამდე შაბლონურად იმეორებს რამდენიმე თემას, რომელთა მიმოხილვა მხოლოდ საანგარიშო წლის სტატისტიკური მონაცემებით განსხვავდება წინა წლების ანალოგიური მასალისგან. გლობალური გამოწვევების გამო, უსაფრთხოებისთვის მომეტებული რისკი შეიძლება მომდინარეობდეს ისეთი საკითხებისგან, როგორიცაა: საკვების უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება, პანდემიები, ეკოლოგიური კატასტროფები. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების კონტექსტში ამ საკითხებზე მსჯელობა და ანალიზი თანამედროვე სამყაროში სულ უფრო აქტუალური ხდება, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშები კვლავ შაბლონურად ერთი და იმავე საკითხებს უტრიალებს.

2023 წლის წლიური ანგარიში რამდენიმე თავისგან შედგება. წინა წლების მსგავსად, დოკუმენტში ქვეყნისთვის მომდინარე საფრთხეებზე ვრცლად არის საუბარი, თუმცა, იმის ნაცვლად, რომ შეძლებისდაგვარად ამომწურავად იყოს ინფორმაცია - კონკრეტულად რაში გამოიხატება საფრთხე და საიდან მომდინარეობს, რა ქმედებები განახორციელა სამსახურმა მათზე რეაგირებისთვის და რამდენად ეფექტიანი იყო გატარებული ღონისძიებები, ანგარიში შემოიფარგლება ისეთი უკიდურესად ზოგადი ფრაზებით, როგორებიცაა: „გატარდა სათანადო ღონისძიებები“/„კომპლექსური ღონისძიებები“, „მიმდინარეობდა ოპერატიულად საყურადღებო პირთა შესაბამისი მონიტორინგი“, „მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა შესაბამის ოპერატიულ ღონისძიებებს“, „გატარდა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები“ და ა.შ.

2023 წლის საქმიანობის ანგარიში ფაქტობრივად იმეორებს 2022 წლის ანგარიშის მთავარ საკითხებს. ანგარიშში უსაფრთხოების ძირითად პრობლემებს შორის კვლავ რუსული ოკუპაცია და ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ განთავსებული რუსეთის სამხედრო ბაზებია დასახელებული. თუმცა, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე საუბარია მხოლოდ ანგარიშის იმ ნაწილში, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებს უკავშირდება. ანგარიშის სხვა ნაწილებში, სადაც საუბარია დეზინფორმაციაზე, ჰიბრიდულ ომზე, ე.წ. რბილ ძალაზე და კიბერუსაფრთხოებაზე, რუსეთის ფედერაცია საფრთხის წყაროდ არ არის მოხსენიებული. ამ შემთხვევებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იყენებს ზოგად ტერმინს „უცხო ქვეყანა“. ამასთანავე, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებში რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები იგულისხმებიან,

მიუხედავად იმისა, რომ ეს პირდაპირ არ არის დაკონკრეტებული. მაგალითად, ანგარიშში მითითებულია, რომ „ოპერატიულ კონტროლზე იყო აყვანილი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ქვეყანაში იურიდიული პირების დაფუძნების შემთხვევები და მიღებულ იქნა ზომები, სანქციებისთვის თავის არიდების პროცესში, ქართული კომპანიების შესაძლო ჩართვის აღსაკვეთად."[57]

ანგარიშის მიხედვით, „ადგილი ჰქონდა სხვადასხვა გარე და შიდა აქტორების მიერ საქართველოში პოლიტიკური ვითარების გამწვავების, ხელისუფლების ძალადობრივი გზით ცვლილებისთვის ნიადაგის მომზადებისა და რესურსების მობილიზების მცდელობებს."[58] თუმცა, კონკრეტული ინფორმაცია ანგარიშში მოცემული არ არის.

საკითხის ხასიათიდან გამომდინარე, წინა წლების ანგარიშებში ყველაზე ინფორმაციული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეთავი იყო. თუმცა, 2023 წლის ანგარიშში ეს ქვეთავი ბევრად უფრო ზოგადი, არაინფორმატიული და შაბლონურია. წლიური ანგარიში მცირედ წარმოდგენასაც არ გვიქმნის უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით. დოკუმენტში მოცემულია მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაცია, კონტროლის შინაარსობრივი ნაწილი კი ბუნდოვანია.

წლების განმავლობაში დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა, რაც სუს-ის ანგარიშის წარდგენის შემდეგ დეპუტატების კითხვა-პასუხის დახურულ ფორმატში გაგრძელებას ითვალისწინებდა, საანგარიშო პერიოდშიც განმეორდა. საქართველოს საპარლამენტო ოპოზიციის წევრები, ანგარიშის წარდგენასა და კითხვა-პასუხის რეჟიმს შაბლონურ და არაინფორმატიულ პროცესად აფასებენ. მათთვის გაუგებარია ისიც, რატომ იღებს პარლამენტი კითხვა-პასუხის რეჟიმის დახურულ ფორმატში გაგრძელების გადაწყვეტილებას, თუ კითხვებზე პასუხი უკიდურესად ზოგადია და დეპუტატები ვერ იღებენ მათთვის საჭირო სენსიტიური ხასიათის კითხვებზე ამომწურავ ინფორმაციას.

სუს-ის ანგარიშის ანალიზი კიდევ ერთხელ ამყარებს მოსაზრებას, რომ უწყების რესურსი არარაციონალურად იხარჯება და მისი ინტერესი მიპყრობილი არაა რეალური საფრთხეების იდენტიფიცირებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

4.1. ოკუპირებული ტერიტორიები

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის ანგარიში ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ზოგადი მდგომარეობის და პრობლემატიკის აღწერით იწყება.[59] ანგარიშის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ პრობლემად რჩება ბორდერიზაცია, უკანონო დაკავებები, უკანონო სამხედრო წვრთნები, საოკუპაციო ძალების პირადი შემადგენლობის როტაცია, და როგორც მათი, ასევე ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტებული მოხალისეების რუსეთ-უკრაინის ომში გამოყენება. *ანგარიშში არ არის ნახსენები გადაიდგა თუ არა სუს-ის მიერ გარკვეული ნაბიჯები ამ პროცესების შესაჩერებლად. ანგარიში ასევე არ აკონკრეტებს, კონკრეტულად რომელ არეალში გრძელდებოდა ბორდერიზაცია 2023 წელს და*

[57] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, 2023 წელი, გვ. 22.
[58] იქვე, გვერდი 25.
[59] იქვე, გვ. 6.

რა მასშტაბის ტერიტორია მოექცა ბორდერიზაციის ამ ტალღის შედეგად ოკუპანტი რეჟიმის კონტროლის ქვეშ.

ანექსიისკენ მიმართულ პროცესადაა შეფასებული ბიჭვინთის ყოფილი სახელმწიფო აგარაკის (და 180 ჰექტარი ტერიტორია, რომელიც აგარაკს აკრავს გარს) რუსეთისთვის გადაცემა. ანგარიშის მიხედვით, აგარაკის გადაცემას რუსეთის ფედერაცია პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რათა მოეხდინა დემონსტრირება, რომ მისი ინტერესების წინააღმდეგ ნებისმიერი პროტესტი უშედეგოა. აგარაკის გადაცემის საწინააღმდეგო პროტესტს რუსეთის საოკუპაციო ძალა მუდმივად უკავშირებდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებს და ამგვარად ცდილობდა საპროტესტო მუხტის შემცირებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ასევე კრიტიკულად აფასებს ოჩამჩირის რაიონში რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მუდმივი ბაზირების პუნქტის შექმნას, რაც სამსახურის შეფასებით, რუსეთს დამატებით ბერკეტს მისცემს შავი ზღვის სამხედრო-სტრატეგიული კონტროლისთვის. თუმცა, პორტის აკვატორიის სიმცირისა და ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ვარაუდობს, რომ რუსეთის ფლოტის მსხვილგაბარიტიანი საბრძოლო ხომალდების განთავსება ოჩამჩირეში ამ ეტაპზე ვერ მოხერხდება, მით უმეტეს, რომ 2023 წელს იქ აქტიური ინფრასტრუქტურული სამუშაოები არ ჩატარებულა.

ანექსიის პროცესის ელემენტებად არის განხილული სოხუმის აეროპორტის რეაბილიტაცია და ე.წ. „აპარტამენტების“ აშენების და „უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის“ მფლობელობაში გადაცემის გადაწყვეტილებებიც. რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის ე.წ. ორმაგი მოქალაქეობის შესახებ შეთანხმება, რაც აფხაზებისთვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის გამარტივებულად მიღებას გულისხმობს, ასევე, ფსოუს საზღვრის მონაკვეთზე მიმოსვლის პროცედურების გამარტივება და ე.წ. კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესიც, ასევე ანექსიის ინსტრუმენტებად არის მიჩნეული.

სუს-ის ანგარიშში არ ჩანს, აქვს თუ არა უწყებას რამე გეგმა - წინააღმდეგობა გაუწიოს ანექსირების ფაქტებს. ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ საჯარო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიტიკურ მიმოხილვას წარმოადგენს და ვერანაირ წარმოდგენას ვერ გვიქმნის იმის შესახებ, თუ რა მოქმედებებს ატარებს ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მთავარი ორგანო ანექსიასთან გასამკლავებლად.

2023 წელს გრძელდებოდა რუსიფიკაციის პროცესი საგანმანათლებლო სივრცეში, როგორც აფხაზეთის, ასევე, სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ანგარიშის თანახმად, აშკარაა, რომ მიმდინარეობს საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის გაუცხოების მიზანმიმართული სამუშაო. თუმცა, *ამ შემთხვევაშიც, ანგარიშში არაფერია ნათქვამი, რა კონტრ ნაბიჯებით ეწინააღმდეგება სუს-ი საოკუპაციო ხაზის მეორე მხარეს მცხოვრები ადამიანების გაუცხოების პროცესს, თანამშრომლობს თუ არა სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან და აქვს თუ არა სტრატეგია ამ პროცესის შესაჩერებლად ან ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად.*

ანგარიშში ცალკეა გამოყოფილი საქართველოს მოქალაქეების: თამაზ გინტურის და ვიტალი (თემურ) კარბაიას მკვლელობის საქმეები. აღნიშნულია, რომ თამაზ გინტურის მკვლელობის შემთხვევასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებამ მკვლელობაში დამნაშავე პირების მიმართ „სამართლის აღსრულება“ მოითხოვა, თუმცა საოკუპაციო ძალა არ აპირებს

მათ დასჯას. *ანგარიშში არ არის მითითებული, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ჰყავს თუ არა ამ დროისთვის ეს პირები იდენტიფიცირებული და ჩატარდა თუ არა რაიმე სამუშაო ამ მიმართულებით.*

ანგარიშში ნახსენებია საოკუპაციო რეჟიმის მიერ საქართველოს 8 მოქალაქის უკანონო პატიმრობაში ყოფნის ფაქტიც. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ამ დაკავებებს ხელოვნური ჰუმანიტარული კრიზისის შექმნით საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლის მცდელობად მიიჩნევს. აღნიშნულია, რომ ხელისუფლების ძალისხმევის შედეგად 2023 წელს პატიმრობიდან საქართველოს 2 მოქალაქე გაათავისუფლეს. *თუმცა, არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რატომ ფერხდება სხვა დაკავებულების გათავისუფლების პროცესი, რა ძირითადი დაბრკოლებები არსებობს ამ მიმართულებით და აქვს თუ არა უწყებას გეგმა ამ დაბრკოლებების გადასალახად ან ახალი მიდგომების შესამუშავებლად.*

ანგარიში ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველი მოსახლეობის განგრძობადი შევიწროების შესახებ ინფორმაციასაც მოიცავს. ეს გამოიხატა როგორც ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ე.წ. გამშვებ პუნქტების პერიოდული ჩაკეტვით, ასევე, მათთვის მშობლიური ენაზე სწავლების აკრძალვით და ქონებრივი უფლებების შეზღუდვით. *ამ შემთხვევაშიც, ანგარიშში ვერ ვხედავთ კონკრეტიკას, რამდენი ადამიანი დაზარალდა საოკუპაციო რეჟიმის მიერ ქონებრივი უფლებების შეზღუდვით, გათვალისწინებულია თუ არა სახელმწიფოს მიერ ამ ადამიანებისთვის უფლების დარღვევის გამო შესაბამისი კომპენსაცია და სხვა.*

2023 წელს გრძელდებოდა რუსეთის ფედერაციის და საოკუპაციო რეჟიმების მხრიდან ჟენევის მოლაპარაკებების პროცესის საბოტაჟის მცდელობები. ანგარიშის თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები მუდმივად ცდილობდნენ საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით სამსჯელოდ წამოეწიათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები, დისკრიმინაცია, უკანონო დაკავებები და ე.წ. ბორდერიზაცია. ასევე ანგარიშის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, ევროპის საბჭოს, გაეროს და სხვა საერთაშორისო პარტნიორების წარმომადგენლობებთან; მათთან ერთად ახორციელებდა სხვადასხვა ჰუმანიტარულ სამუშაოებს და მუდმივად ცდილობდა საერთაშორისო პარტნიორებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია განგრძობადი ოკუპაციის და მისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ. *ანგარიშის ეს ნაწილიც საკმაოდ ზოგადია და ვერ გვაწვდის ინფორმაციას, რა კონკრეტული შედეგები იქნა მიღწეული საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში; არის თუ არა ამ პროცესში ხარვეზები და რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმება მათ გამოსასწორებლად.*

4.2. სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის თანახმად, რუსეთ-უკრაინის ომის და რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების ოკუპაციის ფონზე, ადგილი ჰქონდა ხელისუფლების ძალადობრივი გზით შესაცვლელად ნიადაგის მომზადების მცდელობებს. ანგარიშის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიების ფარგლებში გამოავლინა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი პირთა ჯგუფი,

რომელიც 2023 წლის ოქტომბერ-დეკემბერში სამოქალაქო არეულობას, დესტაბილიზაციას და ხელისუფლების ძალადობრივად შეცვლას გეგმავდა.[60] *ანგარიში დუმს იმასთან დაკავშირებით, რატომ არ გატარდა „პირთა ჯგუფის“ წევრების მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოქმედებები, იმის გათვალისწინებით, რომ ანგარიშის მიხედვით, სამსახურმა შეძლო ჯგუფის „გამოვლენა“; რატომ არ მოხდა მათი დაკავება ან/და რატომ არ წარედგინა სასამართლოს შესაბამისი მტკიცებულებები.*

ანგარიშის თანახმად, გეგმა უნდა ამოქმედებულიყო უცხო ქვეყნების კოორდინირებითა და ფინანსური მხარდაჭერით, უკრაინაში მებრძოლი ქართველი მებრძოლებისა და დაინტერესებული ქართველი ახალგაზრდების მონაწილეობით, რომელთა წვრთნა-მომზადება მიმდინარეობდა უკრაინა-პოლონეთის საზღვარზე. ანგარიშის ეს ნაწილი სრულიად იმეორებს საქართველოს ხელისუფლების მიერ ე.წ. „გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის ინიციირების არგუმენტაციას. თუმცა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს დღემდე არ წარმოუდგენია არც ერთი დამაჯერებელი მტკიცებულება აღნიშნული „ჯგუფის“ მიერ ხელისუფლების ძალადობრივი გზით ჩასანაცვლებლად მოქმედების ან ასეთი გეგმის მომზადების დასადასტურებლად.

ანგარიშში მითითებულია, რომ უსაფრთხოების სამსახურმა გაატარა ღონისძიებები რისკების გასანეიტრალებლად. *თუმცა ანგარიში დუმს, რა ფორმით მოხერხდა რისკების განეიტრალება; განეიტრალება გულისხმობს, რომ ეს ჯგუფები დღეს ვეღარ ახერხებენ საქმიანობას? რატომ ვერ ხერხდება ამ ჯგუფის წევრებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება? რატომ ვერ მოახერხა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ამ დრომდე გამოძიების დასრულება და დამნაშავეების სასამართლოს წინაშე წარდგენა? ამ კითხვებზე პასუხების გაცემამდე,* სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის ამ ნაწილს დამაჯერებლობა აკლია.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, ცალკეული ქვეყნების სპეციალური სამსახურების ინტერესებში შედიოდა საქართველოს ძალოვანი უწყებების საქმიანობის, საზოგადოებრივი განწყობების, პოლიტიკური პარტიების რეიტინგის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ასევე, სხვადასხვა ქვეყნის ინტერესებში მოექცა საქართველოს, როგორც ტრანზიტული ქვეყნის პოტენციალის შესწავლა და სხვადასხვა ბიზნესპროექტებით საქართველოზე ეკონომიკური გავლენის ბერკეტების მოპოვების მცდელობა. ანგარიშის თანახმად, აღნიშნული რისკის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახორციელებდა სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებების ანალიზს, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში არსებული ან დაგეგმილი ეკონომიკური პროექტების ფარგლებში არსებული რისკების გამოვლენას და გასცემდა შესაბამის რეკომენდაციებს. *ანგარიშის ეს ნაწილიც, რომელიც არ იძლევა ინფორმაციას გაანალიზებული ხელშეკრულებების და გაცემული რეკომენდაციების შინაარსის და მათი რაოდენობის, ასევე, ამ რეკომენდაციების გათვალისწინების მაჩვენებლის შესახებ, ზოგადია და არ იძლევა სუს-ის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას.*

ერთადერთი კონკრეტიკა, რომელიც ანგარიშის ამ თავში გვხვდება, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ჩატარებული გამოძიებების რაოდენობაა. კერძოდ, 2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ 14 საქმეზე

[60] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთოხების სამსახურის ანგარიში, 2023 წელი, გვ. 17.

დაიწყო გამოძიება; სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტმა კი გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 2 საქმეზე. *თუმცა, ანგარიშში არაფერია ნათქვამი გამოძიების კონკრეტულ შედეგებზე: დასრულდა თუ არა გამოძიება; დააკავეს თუ არა ბრალდებულები; მიღებული იქნა თუ არა შემაჯამებელი გადაწყვეტილება ან დადგა თუ არა სხვა კონკრეტული შედეგი საქმეზე.*

კონტრდაზვერვითი საქმიანობის ერთ-ერთ გამოწვევად დასახელებულია მზარდი მიგრაციული ნაკადები. ანგარიშის თანახმად, მიგრაციული ნაკადების მონიტორინგის ფარგლებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოავლინა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ჩამოყალიბების მცდელობები, ასევე, მათ მიერ დეზინფორმაციული და უცხო ქვეყნის ინტერესების სასარგებლო პროპაგანდისტული სამუშაოები. როგორც ანგარიშშია მოცემული, მათი საქმიანობის პრევენციისთვის ზომები იქნა მიღებული. *თუმცა ამ შემთხვევაშიც არაა დაკონკრეტებული სამართლებრივი რეაგირების შედეგების შესახებ, კერძოდ, რამდენი მსგავსი მცდელობა აღიკვეთა უსაფრთხოების სამსახურის მიერ, რამდენი ადამიანი მიეცა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში, რამდენი მათგანი იქნა დაკავებული, რა სახის პროპაგანდისტულ სამუშაოებს ატარებდნენ ეს პირები. საზოგადოების ინფორმირება პროპაგანდისტული სამუშაოების ფორმებისა და ნარატივების შესახებ, საზოგადოებრივ ჯგუფებს დეზინფორმაციასთან გამკლავებაში დაეხმარებოდა.*

ანგარიშში ცალკე ქვეთავი ეთმობა დეზინფორმაციასა და ჰიბრიდული ომის საფრთხეებს. როგორც ანგარიშშია აღნიშნული, 2023 წელს დეზინფორმაციული კამპანიის მთავარ მიზანს ანტიდასავლური განწყობილებების გაღვივება, პოლარიზაციის გაღრმავება და ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დაპირისპირების პროვოცირება წარმოადგენდა. სამსახურის ინფორმაციით, ფარული ოპერაციებისთვის ცალკეული ქვეყნები იყენებდნენ პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ფონდებს და კერძო სექტორის წარმომადგენელთა შესაძლებლობებს. ანგარიშის მიხედვით, ცალკეული სახელმწიფოების სპეციალური სამსახურები საკუთარ ან მესამე ქვეყანაში ჩატარებული კონფერენციების, საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების მეშვეობით ცდილობდნენ მჭიდრო ურთიერთობები დაემყარებინათ კულტურული და საგანმანათლებლო წრეების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, სამოქალაქო აქტივისტებთან და ექსპერტებთან.[61] ისინი ასევე ცდილობდნენ ნიადაგის მომზადებას მათ მიერ კონტროლირებადი ჯგუფების აქტიურ პოლიტიკაში ჩასართავად. *ასეთი ზოგადი ხასიათის ინფორმაცია შესაძლებელია გულისხმობდეს რუსეთის ფედერაციის გავლენის ქვეშ მყოფ ულტრამემარჯვენე ჯგუფებსაც, თუმცა იმ პირობებში, როდესაც ანგარიში არ აკონკრეტებს არც ჯგუფებს და არც სახელმწიფოს, რომელიც საქართველოში ამგვარი ჯგუფების კოორდინაციას ახდენს, ზოგადი მინიშნებები ფართო ინტერპრეტაციის სივრცეს ტოვებს. ანგარიშის გაცნობის შემდეგ, კვლავ ბუნდოვანი რჩება, თუ რომელ ქვეყნის შიგნით მოქმედ ჯგუფებს აღიქვამს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საფრთხედ სახელმწიფო უშიშროებისთვის ან/და რომელი ქვეყნ(ებ)ის მტრულ მოქმედებებს ეწინააღმდეგება იგი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში.*

ანგარიშში მცირე ქვეთავი ეთმობა კიბერუსაფრთხოებას. კერძოდ, ანგარიშის თანახმად, ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ რეაგირება მოახდინა მძიმე და საშუალო სირთულის 140

[61] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, 2023 წელი, გვ. 25.

კიბერინციდენტზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ. *ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ განახორციელა სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ კიბერ თავდასხმები, გამოვლენილი არიან თუ არა ეს პირები/ქვეყნები, რა ღონისძიებები გატარდა მათ მიმართ ან დაეკისრათ თუ არა ამ პირებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.*

4.3. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, ანგარიშში თავდაპირველად მოცემულია საერთაშორისო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კუთხით არსებული ვითარების მიმოხილვა. განხილულია „დაეშის“, „ალ-კაიდას“, „თალიბანის“, „ჰამასის“ ამჟამინდელი მოქმედებების გეოგრაფიული არეალი და მათი ძირითადი მოქმედებები საანგარიშო წლის პერიოდში. რაც შეეხება ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმს, სახელმწიფო უსაფრთხოების ანგარიშის შეფასებით, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებმა ხელი შეუწყო დასავლეთში ულტრამემარჯვენე - ანტისემიტური და ისლამოფობიური მოძრაობების გაძლიერებას.

კონტრტერორისტული ძალისხმევის კუთხით გაწეული სამუშაოების შეფასებებისას, ანგარიშში ხაზგასმულია საერთაშორისო პარტნიორებთან წარმატებული თანამშრომლობა. დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 2023 წელს გამოავლინა „დაეშის“ მიერ აშშ-ს და ევროპის ქალაქებში ჩასატარებელი ტერორისტული აქტების გეგმები და მოიპოვა კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც შესაბამისი ქვეყნების სამსახურებს მიაწოდა. შესაბამისად, მოხერხდა დაგეგმილი თავდასხმის ობიექტების გამოვლენა, ასევე დაკავებულ იქნენ ის პირები, რომლებიც „დაეშის“ ლიდერის მითითებით მოქმედებდნენ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აღნიშნავს, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშშიც დადებითად შეფასდა საქართველოს მხრიდან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. სუს-ი ასევე, დიდ მიღწევად აფასებს იმ ფაქტს, რომ 2023 წელს საქართველოში ტერორისტული შემთხვევები არ დაფიქსირებულა, რაც სამსახურის პოზიციით, მათ მიერ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო უსაფრთხოების დასაცავად გადადგმული ნაბიჯების შედეგია.

რაც შეეხება ტერორიზმის კუთხით საქართველოში არსებულ გამოწვევებს, ამ ჩამონათვალში შედის: საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მიერ შესაძლო თავდასხმები; ტერორისტული ორგანიზაციების წევრი საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების საკითხი; უცხოელი ტერორისტი მებრძოლების მიერ საქართველოში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის, ტრანზიტული მიზნით ქვეყნის ტერიტორიის გამოყენება; საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლო დაფინანსება; ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოს მოქალაქეების შესაძლო გადაბირება. ანგარიშის თანახმად, ამ გამოწვევების წინააღმდეგ სამსახურმა კონკრეტული ნაბიჯები გადადგა. მაგალითად, ასაფეთქებელი ნივთიერების და კუსტარულად დამზადებული ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა/შენახვის ფაქტზე დაკავებულ იქნა საქართველოს ორი და უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე. ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ბრალდებით

პასუხისმგებლობაში დაუსწრებლად მიეცა სირიაში მებრძოლი საქართველოს სამი მოქალაქე, რომელთა მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და მათზე გამოცხადებულია ძებნა. საანგარიშო პერიოდში ტერორიზმთან დაკავშირებული სანქციების ეროვნულ სიაში შეყვანილ იქნა საქართველოს ორი მოქალაქე.

2023 წელს საქართველოს მთავრობამ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის სტანდარტების შესაბამისად მომზადებული - ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების ეროვნული ანგარიში დაამტკიცა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჩატარებული ანალიზისა და შეფასებების თანახმად, საქართველოში ტერორიზმის დაფინანსების რისკი დაბალია. 2023 წელს საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების იდეების შესაძლო გამზიარებელ უცხო ქვეყნის მოქალაქე რამდენიმე ათეული პირის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული პრევენციული ზომები გატარდა, რის შედეგადაც მათ ქვეყნის ტერიტორია დატოვეს. ანგარიში კონტრტერორისტული საქმიანობის ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეების წარმოების სტატისტიკასაც მოიცავს. კერძოდ, 2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა გამოძიება დაიწყო 13 საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 16 პირის მიმართ.

ტერორიზმთან დაკავშირებული თავი, ანგარიშის სხვა ნაწილებთან შედარებით უფრო დეტალურ ინფორმაციას შეიცავს და შედარებით სრულ წარმოდგენას იძლევა უსაფრთხოების სამსახურის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებულ სამუშაოებზე.

4.4. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი უწყება, საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით უნდა ხასიათდებოდეს და შესაბამისად, მაღალი საზოგადოებრივი ნდობით უნდა სარგებლობდეს. მეტი სანდოობისთვის აუცილებელია სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ღიაობა, რასაც სუს-ი, სამწუხაროდ, არ უზრუნველყოფს. ამის ნათელი მაგალითი სამსახურის საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეთავში მოცემული მწირი ინფორმაციაა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილი შაბლონურია და განსაკუთრებით გამოირჩევა ზოგადი ფრაზებით. ძირითად ნაწილში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობაზეა საუბარი. ანგარიშის მიხედვით, სამსახურის „საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი პრევენცია წარმოადგენდა.“ თუმცა, ზოგადი სტატისტიკური ინფორმაციის გარდა, ანგარიში ვერ გვიქმნის კონკრეტულ წარმოდგენას, რა ღონისძიებები გაატარა სამსახურმა კორუფციული რისკების პრევენციისა და აღმოფხვრისთვის. წინა წლებისგან განსხვავებით, როდესაც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თავი ყველაზე მეტი კონკრეტიკით გამოირჩეოდა, 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში ეს ნაწილიც უკიდურესად ზოგადი და შემცირებულია.

ანგარიშის მიხედვით, 2023 წელს ანტიკორუფციულმა სააგენტომ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 47 საქმეზე და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა 72 პირი. აქვე, ზოგადად არის მითითებული ის დანაშაულები, რომლებიც გამოძიებისა და პასუხისგებაში

მიცემის საფუძველი გახდა: ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ზეგავლენით ვაჭრობა, უკანონო სამეწარმეო საქმიანობა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ სამსახური დეტალურ სტატისტიკურ ინფორმაციას აწარმოებს, *ანგარიშში არ არის მითითებული კონკრეტულად რომელი მუხლით, რამდენი საქმის გამოძიება დაიწყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში, რამდენი საქმე გადაიგზავნა ქვემდებარეობის წესით სხვა უწყებებში, რამდენ საქმეზე შეწყდა გამოძიება ან რამდენი საქმე გადმოიგზავნა სუს-ში გამოსაძიებლად. ამასთან, უცნობია, საანგარიშო პერიოდში სუს-მა გამოავლინა თუ არა მაღალი დონის კორუფციული დანაშაულები.*

ბოლო სამი წლის განმავლობაში (2021, 2022, 2023 წლები), სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ყველაზე ნაკლები რაოდენობით გამოძიება, კორუფციული დანაშაულების მიმართულებით, 2023 წელს დაიწყო.

2022 წლის საქმიანობის ანგარიშისგან განსხვავებით, 2023 წლის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია ყადაღადადებული ქონების და მისი სავარაუდო ღირებულების შესახებ. ამასთან, უცნობია, დანაშაულებრივი გზით მითვისებული რა რაოდენობის ქონება დაუბრუნდა სახელმწიფოს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თავში მოცემული მწირი და ზოგადი ინფორმაცია ვერ იქნება საზოგადოების და პარლამენტის მხრიდან დემოკრატიული კონტროლის განხორციელების წინაპირობა, რაც, თავის მხრივ, ანგარიშს მნიშვნელობას უკარგავს. მშრალი, ჯამურად მოცემული სტატისტიკური ინფორმაცია ვერ ქმნის სწორ აღქმას რეალურად რა გამოწვევების წინაშე დგას ამ მიმართულებით ქვეყანა. სავსებით შესაძლებელია, აღნიშნული სტატისტიკა მოიცავდეს მხოლოდ წვრილმან კორუფციულ დანაშაულებს და არ ეხებოდეს ე.წ. ელიტურ კორუფციას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან სავარაუდოდ კორუფციული დანაშაულის გამოძიება სუს-ის კომპეტენციაში ექცევა, საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარა სუს-ის მიერ მაღალი დონის კორუფციის შემთხვევების გამოძიების შედეგები.

ანგარიშის თანახმად, საანგარიშო წლის განმავლობაში, სამსახურის ძალისხმევა მიმართული იყო სამოხელეო დანაშაულის პრევენციის, მათ შორის, კორუფციული ფაქტების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა-აღკვეთის მიმართულებით. თუმცა, კონკრეტულად რა ღონისძიებები განხორციელდა სამოხელეო დანაშაულის პრევენციისთვის, რამდენი კორუფციული ფაქტი გამოვლინდა-აღიკვეთა ადრეულ ეტაპზე, ანგარიშში მითითებული არ არის. ანგარიშში ასევე არაა საუბარი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულების გამოძიების შესახებ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან მთელი ძალისხმევის წვრილმანი კორუფციული დანაშაულების გამოძიებაზე დახარჯვა კი სამსახურის რესურსების არარაციონალურ ხარჯვაზე მიუთითებს.

4.5. სამართლებრივი ბაზის განვითარება

ანგარიშის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგა საკანონმდებლო რეგულაციების ევროკავშირის

სტანდარტებსა და პროცედურებთან დასაახლოებლად. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ცვლილებები შეეხო ევროკავშირის საიდუმლო ინფორმაციის დაცვას. ამასთან, აღნიშნულია, რომ სამსახური აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პარლამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, *თუმცა, კონკრეტულად რა ცვლილებები შეეხო სამსახურის საქმიანობას ამ რეკომენდაციების შესრულებით, ნათქვამი არ არის. ანგარიშის მიხედვით, ჯგუფის მუშაობის შედეგად სამსახურმა განახორციელა „სათანადო ღონისძიებები“.*[62]

დემოკრატიის კვლევის ცენტრის შეფასებით, ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 9 რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში, განსაკუთრებით კი, ანტიკორუფციული მიმართულებით გასატარებელი რეფორმისა და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის ჭრილში, სამსახურის საქმიანობისა და ზედამხედველობის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში არაერთი ცვლილება უნდა შესულიყო. მისასალმებელი იქნებოდა, თუ თავად სუს-ი იქნებოდა ცვლილებების ინიციატორი, თუმცა, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით პროგრესი არ ყოფილა.

დემოკრატიის კვლევის ცენტრის ინფორმაციით, 2022 წელს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან შექმნილ სამუშაო ჯგუფში (რომელიც ანგარიშვალდებულ უწყებაზე ზედამხედველობის გაძლიერებას ისახავდა მიზნად) სუს-ი არ ყოფილა ჩართული. 2023 წელს კი ახალი სამუშაო ჯგუფი ამ მიმართულებით არ შექმნილა. შესაბამისად, ანგარიშში ასახული ზოგადი ფრაზებით გაუგებარია, რა შესაბამისი ღონისძიებები გატარდა პარლამენტისა და სამსახურის თანამშრომლობით, ევროკომისიის რეკომენდაციის შესასრულებლად.

ანგარიშის ამ თავში ზოგადი სტატისტიკაა ასევე მოცემული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში შემოსულ ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით. დოკუმენტის მიხედვით, სამსახურს ექვსი ადმინისტრაციული საჩივარი წარედგინა. *თუმცა, რა ტიპის იყო ეს ადმინისტრაციული საჩივრები, როგორ დასრულდა მათი განხილვა, დაკმაყოფილდა მოთხოვნა თუ უარი ეთქვა მხარეს, გაგრძელდა თუ არა დავა სასამართლოში - უცნობია.*

ანგარიშის მიხედვით, სამსახურს წარმოებაში ჰქონდა 40 სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავა, ხოლო ერთ შემთხვევაში სუს-ი წარმომადგენელი იყო საკონსტიტუციო სასამართლოში. მეტი სიცხადისთვის, *აუცილებელია, კონკრეტული სტატისტიკური ინფორმაციის გამიჯვნა, საჩივრის ზოგადი შინაარსი, როგორ დასრულდა ესა თუ ის დავა - მაგალითად, რას ეხებოდა საკონსტიტუციო სარჩელი, რა პოზიცია ჰქონდა სუს-ს და როგორც დასრულდა/რა ეტაპზეა საქმისწარმოება.*

4.6. ანგარიშვალდებულება

დემოკრატიის კვლევის ცენტრი წლებია მუშაობს უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მიმართულებით. სამწუხაროდ, უსაფრთხოების სექტორზე (განსაკუთრებით კი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე) საკანონმდებლო ორგანოს ზედამხედველობა განსაკუთრებული სისუსტით გამოირჩევა. გამოწვევა, ძირითადად, ორი მთავარი მიმართულებით არსებობს - მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან პოლიტიკური ნების

[62] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ანგარიში, 2023 წელი, გვ. 39.

არარსებობა და სამსახურის ანგარიშვალდებულების დაბალი ხარისხი. ამ უკანასკნელის ნათელი მაგალითი თავად სუს-ის 2023 წლის საქმიანობის წლიური ანგარიშია.

დემოკრატიის კვლევის ცენტრმა, ნდობის ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2023 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ნდობის ჯგუფმა 11 სხდომა გამართა. პარლამენტიდან მიღებული პასუხის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა და მისმა მოადგილემ ნდობის ჯგუფის სხდომაში ორჯერ მიიღეს მონაწილეობა - 2023 წლის 6 აპრილს და 13 ოქტომბერს. ანგარიშის მიხედვით კი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილეებმა და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებმა ნდობის ჯგუფის 5 შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის, 6 აპრილს, როდესაც სამსახურმა წარადგინა ინფორმაცია საიდუმლო შესყიდვების შესახებ.

საქართველოს პარლამენტმა დემოკრატიის კვლევის ცენტრს არ უპასუხა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადების იმ ნაწილზე, რითაც ნდობის ჯგუფის შეხვედრების დღის წესრიგებს ვითხოვდით. ეს ინფორმაცია არც სუს-ის საქმიანობის ანგარიშშია ხელმისაწვდომი, რაც ნდობის ჯგუფის მიერ ეფექტიანი კონტროლის განხორციელებასა და ზოგადად სამსახურის ანგარიშვალდებულების ხარისხის შეფასებას, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ სამსახურმა მიიღო 17 სადეპუტატო კითხვა, რაზეც კანონმდებლობის შესაბამისად გაეცა პასუხი. ორგანიზაციის მიერ პარლამენტის ვებგვერდზე მოძიებული ინფორმაციით, სუს-ს 14 შეკითხვა გაეგზავნა; სამსახურმა ყველა შეკითხვას უპასუხა. ამ თვალსაზრისით, მთავარი გამოწვევა გაცემული პასუხების ზოგადი, ცალკეულ შემთხვევაში, კითხვის არსთან აცდენილი შინაარსია. სამწუხაროდ, ანგარიშის შაბლონური ხასიათი ამ ნაწილშიც კარგად ჩანს, სადაც მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაციაა ასახული და არაფერია ნათქვამი გაცემული პასუხების შინაარსობრივ ნაწილზე.

ძირითადი მიგნებები

- 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გამოყენება შემცირებულია;
- უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის უკიდურესად შემცირება პოლიტიკური ნების არარსებობითა და, სავარაუდოდ, ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით არის გამოწვეული;
- საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები საპარლამენტო ოპოზიციისთვის ლიმიტირებულია. ხშირ შემთხვევაში კონტროლის მექანიზმების ამოქმედება დამოკიდებულია საპარლამენტო უმრავლესობის თანხმობაზე;
- მმართველ პარტიას არ გააჩნია უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის განსახორციელებლად პოლიტიკური ნება;
- საანგარიშო პერიოდში უმრავლესობის მხოლოდ ერთმა წევრმა გაუგზავნა წერილობითი კითხვა, უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებას;

- ეფექტიანი ზედამხედველობის განსახორციელებლად, საქართველოს პარლამენტის წევრებმა უფრო აქტიურად უნდა გამოიყენონ მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული ზედამხედველობის მექანიზმები;
- საანგარიშო პერიოდში ნდობის ჯგუფი თითქმის უმოქმედო იყო. 2023 წელთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა სხდომათა რაოდენობა.
- ნდობის ჯგუფის სრულად დაკომპლექტება, საპარლამენტო უმრავლესობის პოლიტიკურ ნებას არ წარმოადგენს;
- გასული წლისგან განსხვავებით, უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების წარმომადგენლები კომიტეტის სხდომაზე არ დაუბარებიათ;
- პლენარულ სხდომაზე ანგარიშვალდებული პირის დაბარების მექანიზმი არც 2024 წელს არ გამოყენებულა;
- საპარლამენტო ოპოზიციას არ აქვს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე დამოუკიდებლად დაბარების შესაძლებლობა;
- საანგარიშო პერიოდში უკიდურესად შემცირებულია ანგარიშვალდებული უწყებისთვის გაგზავნილი წერილობითი კითხვების რაოდენობა;
- საანგარიშო პერიოდში ყველაზე ცოტა წერილობითი კითხვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს გაეგზავნა;
- მიუხედავად საანგარიშო პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილების გადამეტების არაერთი სავარაუდო შემთხვევისა, საქართველოს პარლამენტს ეფექტიანი კონტროლი ამ მიმართულებით არ განუხორციელებია;
- ინტერპელაციის მექანიზმი 2018 წლის დეკემბრიდან დღემდე, არც ერთხელ არ გამოყენებულა თავდაცვის მინისტრთან და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან მიმართებით;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი გამოტოვებულია ან ფორმალურადაა მოხსენიებული, კონკრეტული ანალიზის და საქმიანობის შედეგების წარმოდგენის გარეშე;
- საქართველოს პარლამენტმა კვლავ გააგრძელა დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, კითხვა-პასუხის რეჟიმი დახურულ ფორმატში გააგრძელა;
- მიუხედავად რეგლამენტში შესული ცვლილებისა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში საკომიტეტოს მოსმენაზე კვლავ სამსახურის უფროსის მოადგილემ წარადგინა, რაც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დარღვევას წარმოადგენს.
- 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების არაღიარების პირობებში (ანგარიშზე მუშაობის დრომდე არ არსებობს არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ ,,ქართული ოცნების“, როგორც არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის ლეგიტიმაცია), საქართველოს პარლამენტი კონტროლის ფუნქციას არ ასრულებს.